

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაფხუთი. ზამოღის შოხველ კვირა ღმს.

№ 43.

ოქტომბერი 16, 1894 წ.

№ 43.

შინაარსი: ქუთაისის ქართული თეატრი დაიწვა. — როგორ გვეცენით გეროპას ხან — შეიღოსა. — საყურადღებო ამბები. — ჩემს ნუგეშს. ლექსი ბაჩანას. — ჩემი თვე-გადასვლილი ავადისა. — მერიე შენიშება გ. წერეთლისა. — აღბის შთახე. — ემაწონები (ამოძღვები). — ბარცანი, მოთხრობა ვე. ხინოშვილისა. — ჭეთუნის განდგობა ჯერ დავითიანისა. — ორიენტალისტთა მე-X საერთაშორისო კონგრესი ქ. უფნეშის ნ. ყ. — ისი. — აღ. ხელახის მოგვლა. — სხვათა განათობა.

„ქუთაისის ქართული თეატრი დაიწვა!“

მ ამბავმა მეტათ გული დაგეწკვიტა და, ეჭვი არ არის, ყოველი ქართველი, რომელსაც კი გული უტყვს სამშობლოს ხელოვნების განვითარებისათვის, მწუხარებით ამოიკენესებდა ამ უსაიმოგრო შემთხვევის გაგონებაზე. ყველას დიდი იმედი ჰქონდა, რომ რაკი ქუთაისში საძირკველი ჩაიფლო ქართული თეატრისა და სამუდამო სახიობა გაიზარტა, ის ხელს შეუწყობდა სამშობლო ხელოვნების გაფურჩქენას. ვინ იცის, რამდენი შრომა და ხარჯი გასწიეს მისმა მთაოსნებელმა ამ საქმის მოსაგერებლათ. მაგრამ ყოველივე ნაღვაწი უზედური შემთხვევით ცეცხლში ჩაინთქა. განსაკუთრებით დიდი იმედი გვექონდა ქუთაისის სამუდამო თეატრისა, რომელშიაც მოღვაწეობდნ ასეთი ესტეტური გრძობით და სცენური გამოცდილებით აღჭურვილნი პირნი, როგორიც არიან კონტარტინე მესხი და მისი და ეფემია მესხისა.

ჩვენ იმედი გვექონდა, რომ ქუთაისის მსახიობთა შკოლა დაჩნედა სამშობლო ხელოვნებას შესაუფრეს კვალს; ამის თავდები იყო დასაუღეთის საქართულოს მკვირცხლი განება, ნიქა და ცოცხალი

ლი თანაგრძობა ხელოვნებისადმი. ყოველსავე ამას დღეს უზედური შემთხვევა წინ გადულობა. ქუთაისის თეატრის დაწვა ჩვენ საერო უზედურებთ მიგეჩნია, რადგან იმედლოვნებდით, რომ თვით ქუთაისი ისეთივე დედა და მასაზრდოებელი ქართული დრამატული ხელოვნებისა უნდა გამხდარიყო მერმისთვის, როგორც არის მოუნუნენი გერმანიისათვის, ან ათინა იყო ძველი საბერძნეთისთვის. ეს არის საერთო ზარალი და საერთო დახმარებითაც უნდა აღდგეს.

ამისთვის მოეწივეთ რა ყოველს გულშემატკივარს ქართული სცენისას, ვთხოვთ, შეწვიონ ქუთაისის თეატრის საქმეს შეწვიოლობით. ყველაზე უფრო თავგამოსადგებია ეს საქმე ქუთათურების მიერ, ქალაქის გამგეობამ, ქუთაისის ბანკებმა და სხვა საზოგადო დაწესებულებებმა პირველი მაკალითი უნდა გვიჩვენონ. ეჭვი არა გვაქვს, რომ არც ტფილისის ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი შეგედვენ გულგრილათ ასეთს საქმეს. ჩვენი დასაუღეთაღმოსაუღეთის საქართველოს ქალაქები, სოფლები და შეძლებული წოდებანიც არ დაიშურევენ თავის წოდების ქუთაისის თეატრის დეხზე წამოსაყენებლათ. „კვალის“ რედაქცია ბედნიერათ ჩათელის თავის თავს, თუ მისი მოწოდება არ დაჩრება, „ხმად მღალადებლისა“ უღაბნოსა შინა.

როგორ გავცნოთ ევროპას.



როთი საშუალებათაგანი, გავცნოთ თავი და ჩვენი წარსული ევროპას, შევიგენით ამ ზაფხულს ჩვენი მოგზაურობის დროს. ჩვენდა სამარცხენით და სამწუხაროთ უნდა აღვიარო, რომ ევროპაში სრულებით არ იცნობს ხალხი ქართველებს. თუ გაუგონიათ, ანუ წაუკითხავთ რამე საქართველოზე, ისეუ თითო-ორალა მცნიერთ, კაბინეტში ჩასათრებულებს. გერმანიაში georgien (grusinien) და საფრანგეთში georgien ვარ-მეთუ რომ ვიტყვი, ჩემს მობაასეს ზნირათ ამით თავს ვერ გავაცნობდი ხოლმე. თუ ვიტყვი კიდე კავკასიიდან, მაშინ კი მიმიხვდებოდენ, თუმცა ჩემს ნაციონალურ ჩამომავლობაზე მაინც გაუგებარ მდგომარეობაში რჩებოდენ. თუ შევადარებთ ჩვენს ამგვართ და შორებებს ევროპასთან სამხეების ბედ-იბლას, არ შეიძლება არ ითქვას, რომ უკანასკნელიც ასე დავიწყებულნი იყვენ: იმათ თათქის სუყველგან იცნობენ, იმათ წარსულზე და აწმუაზე წარმოდგენა აქეთ. არამც თუ კერძო პირები არ იცნობენ ქართველებს, მთელი დაწესებულებაც ვერ აცდენია შეცთომას ჩვენი ერის შესახებ. აი, ერთი მაგალითი: ქენევაში დავითელიერეთ ცნობილი მუზეუმი „Ariana“. ამ მუზეუმის ერთს ოთახში შემოკრეფილია სხვა-დასხვა ენაზე საღმთო წერილის წიგნები. ამ წიგნებში შევნიშნეთ ქართულათ აღბეჭდილი „დავითნი“, რომელსაც ქვეშ მოწერილი ჰქონდა: „georgien du nord d'Amérique“. ქართული ასოებით დაბეჭდილი წიგნი მაწერეს ამერიკის გეოგრაფის, სადაც ინგლისური ენის მეტი ხმარებაში არც ერთი ენა არ

არის! კავკასიის გეოგრაფია, ყოჩი ვერ გაუჩინეიათ ამერიკის გეოგრაფისგან! ჩვენ დაესტამებთ ქენევის ერთს ვაგნთში ამის შესახებ წერილი და ორ დღეს შემდეგ რედაქცია შემატებინა, რომ მუზეო „Ariana“ მადლობას მიძღვნის შენიშენისთვის და შეცდომა უკეე ვასწორებულ იქმნა.

ამ გვარი და ამაზე უარესი შეცდომების ახალილებლათ და ევროპასთან დასახლოებლათ საქარია, რომ ჩვენმა ახალგაზღვრებამ მაინც მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას და, მსგავსათ სომხის ყმაწვილკაცებისა, რამდენიმე თვით ან წლებით წაიღენ ხოლმე სწავლის გასაგრძობათ გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და ინგლისში. პირადათ გაცნობა და დაახლოება იქაურ მეცნიერებთან, მწერლებთან და ხალხთან გაფანტუს ცრუ წარმოდგენას საქართველოზე და აუხსნის ნამდვილ სურვილს ქართველი ხალხისას. ამგვარი გაცნობა და მოგზაურობა სასარგებლო იქნება, როგორც მთელი ერისთვის, აგრეთვე კერძო პირისთვისაც, რომელსაც შეეძლება დააკვირდეს სრულებით სხვა მიმართულებას, იქაურ საზოგადო და სამეცნიერო — სალიტერატურო ცხოვრებაში. აქ შეითვისებს ახალ აზრებს, გააფართოებს თვის ცოდნას, შეიძენს უცხო ენების მდიდარ ნაწერებს და ამ იარაღით აღჭურვილი დაბრუნდება სამშობლოში რიგინათ მომზადებული საზოგადო მოღვაწეობისათვის. ამიტომ სასურველია, რომ იმატოს რიცხვმა ახალგაზღვართეულთა საზღვარგარეთ მოსწავლეთა, რომელნიც შეიქნებიან შემეართებელ ხიდათ ქართულთა და ევროპიელთა შორის.

ხს—შეიღო.

საყურადღებო ამბები

(დასასრული *)



იათურიდან ბ-ნი მინისტრი დილის 9 საათზე ეკენისთვის 23-ს მოვიდა ჩვენ ქალაქში, სადაც იმას ხარისხის შესაფერათ დახვდენ. აქ ბ-ნი მინისტრმა ინახულა სახელმწიფო სამსახურის მოხელენი, სხვა-და-სხვა დეპუტაცია ზ მთხოენენი. მინისტრის წინაშე წარდგა ჩვენი თავდა-ზნაურობის წინამძღოლოთი კ. ი. მუხრან-ბატონი, რომელმაც იშუამდგომლო მინისტრთან შემდგენი დაწესებულებანი: დაარსება დეი-

ნის კეთების შკოლისა (კახეთში), სამეურნეო საშუალო სასწავლებლისა (თბილისის გუბერნიამში) და საგუბერნიო სამეურნეო კომიტეტებისა. ამაზე მინისტრმა უპასუხა, რომ ლენის კეთების სკოლა უთუოდ იქნება დაარსებულიო, სამეურნეო სასწავლებლის ტიპის შემუშავება სჯობია იკისრის თვით თავდა-ზნაურობამ და შემუშავებული გეგმა წარუდგინოს სამინისტროს. სამეურნეო კომიტეტების დაფუძენებას იგი საჭიროთ თელის კავკასიაში; ამაზე ჩემმა მოგზაურობამ დამარწმუნა — ბძნა მინისტრმა. დეპუტატთა შორის წარადგენ: ქალაქის თავი, გამგარობის წევრნი და რვა ხმოსანი. ქალაქის თავმა მიატოვა ხაზქოს თხოვნა თბილისში პოლიტექნიკუმის (უმადლესი სამეურნეო და ინჟინერ-სა-

*) ას-ელე „კალი“ № 42.

მოხელთ სასწავლებლის) დაარსებისა. ბ-ნ ეროლო-
 ენა თანაგრძობით მიიღო ეს აზრი, მხოლოდ შე-
 ნიშნა, რომ დიდი ფული დაჭირდებოდა; პირველი
 დაჭირდებოა 1 1/2 მილიონი, ხოლო ყოველ წლივ
 200,000 მანეთი. ამის გამო გადაწყვეტიტ ვერაფერს
 გეტყვიტ და მხოლოტ ფინანსთა მინისტრს მოგვლა-
 პარაკებოა. მინისტრმა აგრეთვე მოიწონა ის აზრი,
 რომ ერთი ნაწილი სასწავლებლისათვის საჭირო ფუ-
 ლისა შეიკრიბოს საყოველთაო ხელისმომწერიტ.
 სხვა დეპუტატებოა შორის მწიღო სამეურნეო საზო-
 გადოების დეპუტატებო, რომელმაც მინისტრს საპა-
 ტითა წერის დოკუმო მიჩაოტეა. კერძო პირთა შო-
 რის ინახულა ქ. შუშის მეპარეშუმე არუმინსკი,
 რომელმაც მეპარეშუმეთა შუამდგომლობა მიჩაოტეა.
 თბილისში ყოფნის დროს მინისტრმა დაათვლიტერა
 ბოტანიკური ბაღი, ბაღოსნობის შკოლა, მუშტი-
 ლის საპარეშუმო სადგური. უკანასკნელი მოიწონა,
 მხოლოტ სადგურის მმართველს, ბ-ნ შვარცეს, შე-
 ნიშნა, რომ უტყველაო, მეტი სარგებლობა უნდა
 გამოაღებინოთ ამ დაწესებულებასაო (слѣдовало бы
 обратить вниманіе на утилитарную сторону дѣла).
 იმავე დღეს მინისტრი დაესწრო სამეურნეო საზოგა-
 დოების სხდომას, სადაც მოისმინა სამი მოხსენება:
 ბ-ნმა კალანტარმა წაიკითხა საზოგადოების გაუარ-
 თობებზე, ნ. შვარცემა—ზოგიერთ ძვირფას მცენა-
 რების კულტურაზე და ნ. პ. ტარატინოვმა — საცდ-
 ელი მინდვრების გამართებაზე. მინისტრმა მოიწონა
 ყველა მოხსენება განსაკუთრებით პირველი და თქვა,
 რომ საზოგადოებას, როგორც ჩანს, შეუვნია ის, რაც
 ამ ჟამათ თვით სამეურნეო სამინისტროს თა-
 ეის საგნათ აქვს აღსარებულიო, ე. ი. გავრცელება
 სამეურნეო კოდნისა. აქ საჭიროაო—განაგრძოა მი-
 ნისტრმა—არა მარტო წიგნები, არამედ მაგალიტოც,
 ამიტომ სამინისტრომ გადაწყვეტა გამართოს ორი
 საცდელი სადგური კავკასიაში. დასასრულ დასძინა
 მინისტრმა, რომ იგი ყოველთვის მოვალეობათ ჩათე-
 ლის დაეხმაროს საზოგადოებას კეთილ-განძრახებათა
 ასრულებებაში.

უცნისთვის 25-ს თბილისელებმა გაუმართეს გამო-
 თხოვების ნაღმი ბ-ნ მინისტრს. აქ ქალაქის თებმა,
 ბ-ნმა იზმაილოვმა, წარმოთქვა შემდეგი:

„ახლათ აღმოცენილმა სამეურნეო სამი-
 ნისტრომ მოგვცა იმედი და ბევრს დაპირებასაც
 იძლეოა. გუშინ, სამეურნეო საზოგადოების კრება-
 ზე ჩვენმა მაღალმა სტუმარმა სამეგარი დაპირება
 გამოგვიცხადა: პირველი, რომ ეცდება კოდნის გავ-
 რცელებას, მეორე ზნეობრივ ხელს გაგვიმართავს
 იმავე მიზნის განხორციელებისათვის, მესამე შემწეო-
 ბას აღმოგვიჩინს ნიეთიერათაც. დარწმუნებული ვარ

ყოველი ჩამოთვლილი დაპირება აგვისრულდება და
 ჩვენ თბილისში პოლიტექნიკური სასწავლებელი მო-
 გვეწყობა. ესემა სადღევანდელს ბ-ნ მინისტრისას,
 რომელმაც ბევრი დაპირებით გვანუგვმა. მინისტრმა
 ამის პასუხათ მიუგვა: „დიდოტ უწუებარ, რომ კოტა
 ხანი უნდა დავყო ამ მხარეში და ამისგამო ვერ
 შევიტდო, ამ ქვეყნის სხვა-და-სხვა საჭიროების ზედ-
 მიწვენიტ შესწავლა. კავკასია ბუნების მხრივ წარმა-
 აღდგენს საგანს, რომელიც ღირსია დაწერილებით შესწა-
 ვილისა. აქაური ნაწარმოებები მარტო ადგილობრივ სა-
 ჭირობებათ დასაკმაყოფილებლათ კი არ არის საჭი-
 რო, არამედ ისინი უნდა იგზავნებოდნენ რუსეთში დასა-
 ზღვარკრეთაც. მე ვერ შევიტძელი ამ მოკლე ხანში
 აქაური მეურნეობის სხვა-და-სხვა მხარის შესწავლა;
 ამიტომ მე ვერა დაპირებას ვერ მოგკეთებ გარდა იმის-
 სა, რომ მეტი ყურადღებით შევისწავლო იმ საეკრე-
 ველი ქვეყნის საჭიროებანი, რომელიც სამართლი-
 ანათ რუსეთის გვირგვინს დამაშველებელ უძვირფა-
 სეს თვლათ ირჩებენ. ვეცდები მოვასწავლო ხელმწი-
 ფეს ყოველივე ამის შესახებ, ეცდები, რომ კავკა-
 სიის წარმატებისათვის მომზადებული პროექტები
 უმაღლესათ იყვენ შესწავლებულნი. ამიტომ ხელ-მე-
 ორეთ ესემა სადღევანდელს ხელმწიფე იმპერატო-
 რისას“.

საღამოს 9 საათზე მინისტრო წაბანდა სასახ-
 ლეში საფილოქსერო დასთა სხდომაზე დასასწრებათ.
 აქ ბ-ნმა მინისტრმა გამოთქვა ის აზრი, რომ საფი-
 ლოქსერო დასთა მოქმედება უნდა გაძლიერდეს და
 ეცნებები ზშირათ გასინჯოს. საფილოქსერო სადგუ-
 რის დაარსება ქუთაისში ჯერ-ჯერობით აღდგეოა; უმ-
 ჯობესია ამერიკული ეახზები ბლომათ დავამზადოთ
 და საქარის საშენებელი სადგური გავაფართოოთო.
 ეცნისთვის 26-ს დლით მინისტრი ყარაიხს გაემ-
 გზავრა, საიდანაც ბაქოში წევა და ამერიკისარის მხა-
 რეს რომ დათავალიერებს, შემდეგ დაბრუნდება ისევე
 პეტერბურგში.

* *

ეკიდა. ჩვენში დღეთს მაღლიტ შკოლების
 რიკები თანდათან მატულობს, მაგრამ კარგი მასწა-
 ვლებელნი კო კოტანი გეყვანან და თუ გეყვანს გინ-
 მე კარგი, ისიც სხვა სამსახურს ეძებს და ტოვებს
 შკოლას. მიზეზი, რასაკერებლია, ბევრია, მარა
 უფრო კი ისაა, რომ კოტანს ძძლივეწ შრომას
 ფასს პირველ დაწვებითს სასწავლებელში; ისე კო-
 ტანს, რომ თვის თავს ვერ ირჩენს, თვარა კოლ-
 შვილი სად შეინახოს; ამისათვის ეძებენ უფრო დიდს
 ჯამაგირიან ადგილებს და თუ იშოვის, შენი შკოლის
 ჯაერი არა აქვს; მაგრამ თუ კაცს ისეთს საქმისათ-
 ვის აქვს ხელი მოკიდებული, როგორიც არის მერე

ახალთაობის აღზრდა და იმ საქმის სინდისიერათ ასრულებით უნდა სარგებლობა მოუტანოს თავის ერს, არ უნდა მიანებოს თავი იმ საქმეს, რაც უნდა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყოს, რადგან რუსთველის სიტყვით, „ჭირსა შინა გამაგრება, ისე უნდა, ეთი ქეთიკირსა“. ასეთს მაგალითს წარმოგივლენს ბანი თეოფილე ხუსკივიძე, რომელიც ავერ 15 წ. იმყოფებოდა მასწავლებლათ სასწავლებელში და თავის საქმეს კარგათ და სინდისიერათ ასრულებდა: ცოტათ თუ ბევრათ შესწავლილი ჰქონდა პედაგოგია და სულ იმ საქმეს ანდომებდა დროს; მოთხოვნიებოც აქვს მას პედაგოგიური შინაარსებით დაწერილი. ერთი სიტყვით კარგი სასარგებლო კაცი იყო ჩვენთვის და დიდ პატივსაც ცემდა ყვირილის საზოგადოება, რადგან იცოდა მისი სინდისი იმ საქმეში და პატიოსნება; ახლა კი მიატოვა თვისი სატრუიალო საგანი და სხვა სამაგიეროს მიაშურა. მას მიცეს მდინეობა აქაურ მოპრიგებელს სასამართლოში. აქაურ მეხოვრებთ ძლიერ ეწყინათ, რადგან მათი შეილებს კარგი მასწავლებელი სხვაგან ვადაიდა, და შემდეგში ვინ იქნება მათი მასწავლებელი, არ უწყინან:

17 თვეისთვის. შაბათს, ბანი თ. ხუსკივიძე გამოეთხოვა თავის საყვარელ მოსწავლეებს, უთხრა მათ გრძნობიერი სიტყვა და დაარიგა:

„თუმცა მე მოგშორდებით, მარა გულით და სულით თქვენში ვიქნებოა, არ დაგივიწყებთ, თუ შევიძლე იქიდანაც შემწობას მოგცემოა. ისწავალეთ კარგათ, რომ თქვენი გზობლები გაამზაროლოთ და მასთანავე მე რომ გავიგებ თქვენს კარგათ სწავლას, ძლიერ გამეხარდება და თქვენს ქებაში ვიქნებოა“. გაათავა მან სიტყვა და გამოვიდა ოთახიდან. მის გამოსვლის დროს არც ერთი მოწაფე არ დანძრეულა ადგილიდან, ყველა გაშტერდა, თვალბზე ცრემლი მოგორავდით და ბევრმა ხმამაღლაც იწყო ტირილი, რადგან ვაიგეს, რომ მოშორდით იმათ მათი გულკეთილი მასწავლებელი, მათი დამრიგებელი მომხმარე. ბავშვების ცრემლებზე ვის არ მოუყვდოდა ცრემლები?

ს. ჯ.

* * *
ს. ჭეშოა მხნასანი. აქ ამ დღებში ხუთი სასამართლოს ხალხთა ხელ-მეორე ყრილობა იყო სამეურნეო-სახელოსნო სკოლის შესახებ. ბანი სიღნღის მასხრის უფროსმა შანიშვიმ, ინსპექტორ ბაღდანოვმა და აკრონომ ფირალიოვმა, რომელნიც საამისოთ იყენნ მოსულნი, გონიერულათ ელაპარაკეს ყრილობას ამისთანა სკოლის დიდ საქიროება-სარგებლო-

ბაზე. ზღვის ოდენა ხალხმა—წინა ღლითვე ჩაგონებულმა ადგილობრივ ინტელიგენციისაგან—ერთხმათ სურვილი გამოაცხადა ყოველ წლივ მისთვის სახარჯო ფულის გამოღებაზე და ალუთქვა სხენებულ პირთ ხელ-ახლა განაჩენების დადგენა ახალი პირობებით. წინათ მარტო სახელოსნო ეწადა მთავრობას; ახლა კი სამეურნეო განყოფილებაც იქნება, რაიც უფრო დიდათ საქიროა ჩენნი ქვეყნისათვის. ამ მომავალ საყურადღებო სკოლის აე-კარგაინაზის თავის დროზე ვაცნობებ მკითხველებს დაწერილებით. სკოლა იქნება სოფელს ქვემო-მანხანაში, რომელიც შუაგულთ ბაზარია ქვემო-ქიხიისა.

* *

დ. ხადისთავი (ოზურგეთის მხარა). თქვენი პატრიტეკული გაზეთი „გვადის“ № 39 №-ში იყო გამოცხადებული საყურადღებო ამავეში შემომწინებელთა საამქეთაღ გამოიღეს შექლებსამებურ ფულათ შექწეობა ასეგაუდ ჭეითიერის საფუძვლათ ხადისა დ. ხადისთავი მდინარე გუბასუფლზე. ვიდრე მივიღეთ ამ საგანზე ფულათ შექწეობას სხვა-და-სხვა პირებისაგან. გთხოვთ, თქვენი პატრიტეკული გაზეთი „გვადის“ საშუალებით გუდალათაქსი მადლობა გამოუყვსადათ ქვემო მოკახილ პირთ, რომათგ გამოიღეს შექწეობა ფულათ:

- მისიად ღობამქე—10 მანი.
- 8 მანიათ:
- ინაკლი კალანდაქე, ლეონტი კალანდაქე, იოსკ კალანდაქე,
- 5 მანიათ:
- ქარიელ თავართქილასქე, გიორგი კალანდაქე, ქეითიე შარაქანიქე, გუფანპირ თავაქრამქე, პესო კალანდაქე, ილარიონ ვაშიმ, გიორგი ვასასქე, სეკსტი კალანდაქე, გიორგი თავართქილასქე, პესარიონ პერიქე, პრთოვანი ბერქეანმა, ონოფრე კალანდაქე.

3 მანიათ:

გიგო ღობათთაიქე, სურგი კალანდაქე, კლიშუდ ღობათთაიქე, დამქრტი კალანდაქე, ანანი ღობათთაიქე, ივანე ბოლქვაქე, ელქე თავართქილასქე, ქიშკარდი გუტუქე, დიომიდე კალანდაქე, ქიშკარდი გოგუბრამქე, იესე ბერქეაიქე, ისიდორე ჩიგოთაიქე, თომა სიბრამქე.

2 მანიათ:

კალენიე ჩიგოთაიქე, თომა კალანდაქე, ამაგო ღობამქე, ზურაფ ფოცხიშვილმა, ივანე ელქრტა, გიორგი გოგუბრამქე, მამიკე დუშბასქე, ერმილე ვაშია.

1 მანიათ:

კვადიმერ კიკელიქე, კირილე კალანდაქე.
სიო გიორგისქე ბურამქე
დ. ხადისთავი

ჩემს ნუგეშს



ხოვრების კყარტში *) ჩაეფალ,
ფეხი არ ჩამიწვდებოდა
ძირს; აქაიქ ნაპირთა
ხელი არ მიმიწვდებოდა.
აშკარათ ვიღუპებოდი,
სახელი მკარგებოდა.
გამოჩნდი... დეკრითი, გულმაცა
სხვარევით გაიფართხალა!
აფსოვოლდი... სსსოვებამაც
მწუხარე ფრთები გაშალა.
აფურინდი!! თავიცი ვიპოვენ,
კაობიცი ქვევით დამჩნაო!!
არ ვიცი სიხარულითა,
რით უნდა მეზლო შენთვის?
თაყვანი მეც; და თვალზედაც
ცრემლები გადმოამდინა!!

ისევაცა ვთხოვ გენაცვა,
მალ-მალ მალხინე ნახეთა;
მალ-მალე ვაღამარჩინე
შენი ცქრაილა ნაეთა;
მალ-მალე გამომიშუქდი
ხელში იმედის სანთლითა,
რომ გამინათლო სულ-გული
წმინდა აღდგომის მადლითა.
გეტყობინა?.. ნუ, კარგო,
მე სატირელი არა ვარ.
თუ არსად დამეკარგები,
თუ ზოგჯერ მიწიც აქა ხარ.
შე, ჩემო სიკვილი-სიკოცხლეცე,
ქვეყნიერს არა გევიხარ,
არას ვინატრებ უკეთესს,
თუ სამუდამოთ ჩემი ხარ.
ნუ ამზორდები, მითვისე,
მე, ღილათ შენზე მოსაგი.
სიღილ-სიმღიღრე ხეგებს ჰქონდეს,
მე ვიყო მარტო მგოსანი.

*) ჭყნტი — ჭაობი.

ბაჩანა

ჩემი თავგადასავალი

შედეგი *)



მ ღროში ჩაის არ სეამდენ, მხოლოთ სტუ-
პრებისათვის მოადლებდენ ხოლმე, მაგრამ
ბაუშებს მაშინაც არ ასმევენდენ... ცხელი წყა-
ლი შიგნულს გაუფუჭებოდა და შაქარიც კბილებს
წაუხდენსო და ჰიას გაუჩნესო. მე, ჩასაკვირველია,
სული მიმდიოდა შაქარზე, მაგრამ ვინ მაჭმევდა? მა-
გიერათ, როდესაც შაქარს მტერევეს დაუწვებდენ ხო-
ლმე, მე მიუტოვებოდი გეტრდით შაქრის მტერე-
ველს და იქითაქეთ შორს გადაბნეულს ფხენილს
ქორივით პიეჩერებოდი, მაგრამ რადგანაც მათი აღე-
ბა ხელით მოუხერხებელი იყო, დასეველებული თი-
თები მზათ მქონდა, დაეწვებდი ზედ და ელვასავით
ეიტყუებდი პირში. ეს შემინშა ვერთხელ ჩემმა
უფროსმა დამ და მიჩრია მავას ნუ ეტობი, სიწულწეაო
და ჩუმათ თითო კენტი შაქარს მამღვედა ხოლმე.
მეც ეს მინდოდა და ღმერთს ევებეწვებოდი: ღმერ-
თო, სტუმრებს ნუ გამოგიღვე-თქო! რადგანაც უმი-
სოთ, ვიკოდი, შაქარს არავინ დაამტერებდა. ხში-
რათ დაუხებდებოდი ხოლმე წინ ჩვენგან წაამავალს
სტუმრებს და ჩუმათ ევებეწვებოდი: თქვენი ჰირიმე,
ხშირათ იარეთ-თქვე; იმათ ევანათ, თუ მე ეს სტუ-

მართ-მოყვარეობით მოამდიოდა და მიწონებდენ და
ამბობდენ, რა კეთილია ეს ბავში და რა პურადი ვა-
მოვაო.. რა იცოდენ, რომ მე მხოლოთ ჩემი უსხის
კული მაგონდებოდა ე. ი. შაქრის კენიტი, — პურადობის
რა მოგახსენოთ. 'აშინ რა პურადობა შემიტყობო-
და? მაგრამ გულ-კეთილი კი მართლა ვიყავი: პი-
რუტყვი რომ ჩემთან ვისმე გავლახა, ეტირებდი, თუ-
მცა ღორი მეც კი გავლახე ერთხელ, მაგრამ ეს
სულ სხვა იყო, მინდოდა მომეგერებია და ქუთა მე-
სწავლებია. ერთხელ ყანაში ღორი მოკლეს და მე
მთელი დღე არაფერი მიჭამია; ისე მებრალეებოდა,
რომ სიახლოვესაც ვერ მივეყარე, დამეხედა და ეს
მით უფრო საკვირველი იყო, რომ საკლავს რომ
წამოაქცევდენ, სიახლოვებით თავზე დაეტრიალებდი
და არც არაფერ სიბრალულსა ვგრძნობდი. საუფლო
დღეებში მავალითათ შობის, აღდგომის და სხვა ამ
გვარ დღესასწაულების წინა-დღეს ძროხას რომ და-
კლავდენ, ჩემ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა!
ბუშტს გამოვართმევდი ხოლმე მზარეულს, დაეხელ-
დი ნაცარში, ვაღვადპოვებდი ზედა კანს და გავებე-
რავდი, გავახიზობდი და მერე ვინმე ქალს ან გამდელს
ვაიუქებდი ხოლმე საუმარულეთ, რადგანაც გავონი-
ლი მქონდა, რომ უმარულის შესანახავათ კარგაიო.
ერთხელ მხოლოთ შობის წინ დღეს აღარ მიყურე-
ბია ძროხის დაკლისთვის, რადგანაც უფრო სასი-
ხარულო შემთხვევამ გამიტაცა და ჩვეულება დამავი-

*) ახილვ კვლავ № 41.

წყდა სწორით იმ საღამოს ქუთაისიდან მოგვივიდა მამიჩემის გამოგზავნილი კაცი და პატარა ჩემები მომიტანა. იმ დღემდღს ჩემ ფეხს ჩემმა არ მიკარებია და მხოლოდ შლაპუნა ფოსტლებს ვიცვამდი ხოლმე. რალა თქმა უნდა, რომ სიხარულმა ამიტაცა, ძროხა კი არა თვით დამაიწყდა. მამაჩემი იწერებოდა სხვათა შორის: „ამ ჩემებს ვაგლახათ ნუ გააფუჭებებთ ჩემ კაცოს! სირბილის ნებას ნუ მიცემთ, რომ ქუსლი არ მოაქცეოს და უბრალოთ არ მოჩირთოს!“. ეს ბძანება ჩვენ სახლში გადაჭრბებითაც ასრულეს: ჩამაცვეს მხოლოდ შობა დღეს, ახალწლიწიანს და ნათლილებას. მეც ვამხადეს და შეინახეს; მე ისევ ფოსტლებზე ვადამიყვანეს, აღდვამამდის აღარ მიპირებდენ ჩაქმევას.

მომავალ აღდვამას, რასაკერეცლა, ორკეცი სიხარულით მოველოდი. ცისკრის რომ დარეკეს და ჩვეულებრივით ჩამედა-დახურვა დაიწყეს, მეც მამიტანეს ჩემი საოცრება ჩემები; მაგრამ წარმადგინეთ ჩემი უბედურება: ჩემები გამხმარიყვენ, მეც ფეხები გამზოდა და შვიგ აღარ ჩამეცია. ბეჭი მარჯალეს, მუხლზე კანი გადამაძერეს, კოჭი კინაღამ ამოიგდეს, მაგრამ არა მეშველარა. დამწარდა აღდგამა. იმ დღეს რალა მოესწერებოდა, მაგრამ სწორამდეს კი მომიტანეს ახალი და იმ დღედან დაწყებული ქუთაის წასვლამდე თითქმის წელიწადნახევარს უჩემქმით აღარ გამიიღია. — უკანასკნელ წელიწადს მით უფრო კარგათ შევიშენე ჩემები, რომ ბეჭის აღარ დავრბადი, რადგანაც აღრინდელი თავშესაქცევაი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და

უფრო სხვა საფიქრელს გადაეყვი. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“. წაევიითხე თავიდან ბოლომდე, თუმცა ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგიარა, მაგრამ მაინც ძალიან გატყებული ვიყვი. იმას მივყალე სხვა საკითხებზეც და მთელი ქრისტობაძა, ჩუბინაშვილისაგან პეტრბურგში გამოცემული, რამდერჯრემე გადავიკითხე. ამას გარდა ერთხელ ქალაქიდან ჩამოგვიტანეს ამბავი, რომ „გულუხარინა“ კომედია დაწერაო და ევრანციუვის სასახლეში ათამაშესო. ამ ამბავს გულმოდგინეთ ვუვადვდი მე ყუის და ბოლოს თითონაც მოვინდომე, რომ იმ გვარი რამ კითხვა-მიკებით დამწერა და მართლაც აწერე ჩენი შინაურობა, მაკალითათ, როგორ აწვალედა ჩენი მოურავი ხალხს, მეც ბატონს აბეზღებდა; ბატონიც მოთმინებიდან გამოდიოდა და ჯავრობდა და სხ. და სხ. ეს ბავშურა სკუნები სასახლეში სუყველას მოაწონა ვარდა მოურავისა, რომელიც გულ-მოსული ამბობდა: „ჩემი დაცინება არაუფროა, მაგრამ ენახე, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადმტეროს და ნუ აქვებმთო“. ეს ჩემი პირველი ნაწარმოები დედაჩემს თურმე შეენახა და რუსეთიდან რომ დავბრუნდი, მიჩენა და მე სობირიყვე შორეულმა ეიუკდრისე, გამოვართვი დედას, დავხეი და ცუცხლში ჩაყარე. დედაჩემს ეს ძალიან ეწყინა და მისაყვედურა, მაგრამ რალა გეწყობოდა, ხომ ევლარა გავამთვლებდი. — ამგვარი ბეჭი რამ მაგონებდა ჩემი სიყმაწვილიდან, მაგრამ რამ მკითხველს თავი არ მოვაბეჭრო, ამით ვათვებ.

აკაყი

მცირე შენიშვნა



ატონ გიორგიძეს მოჰყავს წმინდა ესტატეს ცხოვრებიდან ალაგი, რომლითაც ცხადათ მტკიცდება, რომ „აღლიარო“ მართალი ფორმაა. მაგრამ იქვე ქვემოთ ისიც მოჰყავს ტექსტიდან, ეითომც „აღლიარო“ კ კანონიერი იყოს.

ჩენის აზრით ტექსტსაც ძალიან სფრთხილით და დაკვირვებით უნდა მოყვანა, ბნ გიორგიძემ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ჩენი ძველი ტექსტები ხშირათ გარყეწილია ვადამწერლებისგან.

იქ, სადაც „აღლიარებ“ არის ნახმარი, „აღლიარებ“ს ალაგი არ უნდა ჰქონდეს. ჩენი დროის ენის მკოდნე განსვენებული დიმიტრი ყიფიანიც ამ აზრისა იყო. ამას მეტათ ეწოთიერებოდა „ავლიარებ“, „გავლიარებ“ და ბეჭი სხვა უცხო ენის მიბძებით შემოღებული გარყეწილი ფორმები, რომელნიც თვით

ქართულ ენის ბუნებას ეწინააღმდეგებოდენ (იხილეთ დიმი ყიფიანის „ახალი გრამატიკა“). განსაკუთრებით განსვენებული ჯავრობდა, რომ იმ დროს გამოსულმა პირველ-დაწყებოთმა ხელ-სამძღვანელოებში მოჰქონეს შკოლცებში ვადამგარებული უცხო ენის კილოზე შედგენილი ქართული დიქსიონარები. თვით „ავლიარებ“ და „გავლიარებ“იც იმ დროის დამახინჯებული ახალი ფორმაა.

ახლა ბნ გიორგიძეს ყველაზე უფრო დიდი ბრალი მითი ედება, რომ ასეთს გარყეწილის ენის ფორმებს საბუთებს უტებნის, მაშინ როდესაც ეს საბუთები უფიცს ვადამწერლებს, უფიცს კორექტორებს და უფიცს მესტამბეებს ეკუთვნის.

თუნდ ავილოთ მის მიერ ვადამოსტაშული „ვეფხისტყაოსანი“ № 214-ში ტექსტა წმინდა ესტატე მტკიუმლის ცხოვრებიდან. ეს ტექსტი მას ბნ საბინის „სამოთხიდან“ ამოუღია, რომელშიაც, ყველაშ იცის,

რამდენი აურაცხელი კობრეკტურული შეტომებია. ჩვენ, როგორც ზეით მოგახსენეთ, ეჭვი შეგვეპარა მის მიერ მოყვანილის ტექსტის სიმართლეზე და შეეადარეთ ნამდვილს ტექსტს, წერა-კითხვის ხელ-ნაწერის „წმინდათა ცნაერებისას“, № 14, და რა აღმოჩნდა? — მართლაც იქ არაერთი სიტყვა „ეკლესიარებ“-ის მსგავსი არ არის. იქ არის მხოლოდ ნამდვილი ფორმა „აღვიარებ“ სამიეგვან ხმარებული. აი, თეით ტექსტით:

ესე მოკესნი ჩემნი არიან, ამათგან შევიშინო. მერსე დღეთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდებ, არმედ მოვიდე მისსა და ცხადად აღვიარებ პრისტე, რამეთუ მსმისეს წმიდისა სხსარებისკან, ვითარ

იგი თქვა: რომელმან აღვიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“.


აბა, მიბანეთ, სად არის აქ სიტყვა „ეკლესიარებ“, რომელზედაც მთელი შემცდარი საგრამატიკო თეორია აეგიათ? საწყალი ი. სიმონიძე კი, თქვენს ცოდნაზე გულუბრყვილოდ დაიმდებულთ, ეს ორი თევა, ათანაირს შემცდარ დასკვნას თხზავს, როგორც მაგალითათ იმანვე შეთხზა ახალი ზნა „ლიარება“. ამის გამო მკითხველს დიდ შეტომაში შეჰყავს და მთელი ახალი შთამოებაც „ლიარებანე“ და „ეკლესიარებზე“ იზრდება.

გ. წერეთელი

აღიბის მთაზე მოგზაურობა.

გეროპის სამხრეთით საფრანგეთიდან შემოსული აღმოსავლეთისკენ ოსმალეთის საზღვრისკენადაც ვაჭარების გაწოლილია უმაღლესი ევროპის ქედები, რომელთაც საზოგადოების მთებს ეძახიან. ამ მთების შუაწელი დაყოფილია ჭალებათ და ზედ ევროპის მთის ხაზებში ცოვრებენ. იქ ჩასახლებულან გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და სლავური ტომის ხაზლები. დასავლეთის მხარე უჭირავს შვეიცარიის რესპუბლიკას; აღმოსავლეთის მხარე ალპებისა ტიროლის ქვეყანას შეადგენს. სამხრეთის ფერდობებზე დასალებულან იტალიელები, ხოლო აღმოსავლეთის განაპირას, საცა ალპის მთის შტოები გამოდიან ჰუნგრეთისკენ, იქ შესახლებულან სლავები. ეს ქედება შუა-ევროპის ჰავას ორნაირათ ჰყოფს; ჩრდილოეთისკენ ძვეს ცივი ევროპის ქვეყნები, სადაც ჩრდილოეთის ზღვიდან ცივი ქარი ქრის. იმას ელობება წინ ალპის ქედი და იტალიისკენ აღარ უშვებს. მაკიერათ ალპის ქედის სამხრეთით მდებარეობს იტალია, საცა თბილი და ცხელი ჰავაა. ამ უზარმაზარ კედლის მეოხეზით იტალია თითქმის

ცხელ ხმელეთის ყურეთ ითვლება, საცა ღიმიანი, ფართოხალა და ზეთის ხილი ხარობს. ხეობები საესეატე-შვეიცარიის რესპუბლიკა. ამ მთებისგე მეოხებით ისე იმწიფოები:



გერმანია, საფრანგეთი და იტალია გარს უტრიალებენ, მაგრამ ევრას აკლებენ. იმათ ყველას ამ ოთხი მილიონი ხალხის მოკრიდება აქეთ და მეგობრობის მეტს ევრას უბედვენ. ეს ოთხი მილიონი ხალხი ას მილიონს გარშამოხეულს ერებს უმკლავდება და ერთი ხელის დადება მიწასაც თავის ქვეყნიდან არაეის ანებებს. ასეთი უძლიეველი ჰდება პაწია ერი, როცა მას განამხნევებს სამშობლოს სიყვარული, როცა იგი ერთობით და ერთი გრძნობით გამსკვალულია. ამასთანავე რკალსავითი გარს - შემორტყმული ბუნების სიმაგრე — მთების ქედები მიუალ ციხეებათ აქეს გადქცათლი.

ბევრია შვეიცარიაში შეწიერი და ლამაზი კუთხეები, მაგრამ ფორვალ მტეტის ხეობას არა შეე-


დრება რა. იქ არის ერთი მოგვო ტბა და მის ვარ-
შემო შეწინიერი ტყიანი ხეობებია, საცა ხალხი მკი-
დრით არის დასახლებული. ზაფხულობით მთელი
ევროპიდან შეძლებული კაცები იქ მიდიან ღრის
გასატრებლათ და ტანთელობისათვის. ეს ხეობა
აბასტუმანსავეთ მალოობზე მდებარებს და იქ რამ-
დენიმე რკინის გზები შედიან. მაზობლათ ერთი
მალოი მწვერვალია, სახელათ რივი-კულომი, საცა რკი-
ნის გზით აღიან და ჩამოდიან მგზავრები.

მეცნიერებისთვის უფუო საინტერესია ალბის
უმაღლესი მწვერვლები, სადაც ზამთარ-ზაფხულ თო-

ვლი ძვეს აუღებლათ და დიდი მყინვარის ხეობებია.
ამ ხეობებში ჩაყინულა ადამის წლის თოვლის ზე-
ვები და ეწოდება გლექტჩერები, უმაღლესი მწვერვა-
ლი ალბისა არის მონაღანი, რომელიც უფრო
დაბალია, ვიდრე ჩვენი ელბორუსი და ყაზბეგი
(მყინვარი), მაგრამ დიდებული სანახაობით არ
ჩამოუარდება იმათ. ეს მთა დაწერილებით შე-
სწავლეული აქეთ მეცნიერებს და აქ დახატუ-
ლი სურათი წარმოადგენს იმ წამს, როცა ეი-
ნლაც მეცნიერი ზედ მკზავრობს და წინ მიუძღვება
შვეიცარიელი მთიული კაცი გზის საჩვენებლათ.

ამაზონები (ამორძლები)

სამერძნეთის ძველ მითოლოგიაში (ზღაპრებ-
ში) მოთხრობილია, რომ ვითომც ერთ
ღროს, როცა ჯერ კიდევ საბერძნეთი ვე-
ლურ მდგომარეობაში ყოფილა, ძლიერი დედაკაც-
თა სამეფო არსებულა. თუ-
რმე ამ დედაკაცთა სამე-
ფოს ეჭირა შაეი ზღვის კი-
დე ბათუმიდან მოკიდებუ-
ლი სტამბოლამდის, მდინა-
რის თერმოლონისა და ირი-
სის ხეობებში. იმათ შორის
მაშაკაცი ვერ გაბედდა
ცხოვრებას, იყვენ შესანიშ-
ნაენი შებრძოლნი, ჩინებუ-
ლნი მხედარნი და ხელო-
ენი მოისარნი. მარჯვენა
მკლავი რომ თავისუფლათ
ეხმარა, ამორძალს ყმა-
წილობიდანვე დაწვედ-
ნო მარჯვენა ძუძუს, ასე
რომ მხოლოთ მარჯვენა
ძუძუ ჰქონდა ბავშის გა-
სახლელოთო. ჰომერი მო-
გვითხრობს, რომ ტროადე-
ლების და მქრობის ღროს
მეფე პრიამს ეხმარებოდა
ამაზონების (ამორძლების)



რძლების მოსახლერეთ კავკასიის მთებში ცხო-
რებდა სხვა ტომის ერი, რომელთა შორის აგრეთვე ქა-
ლის ნასახი არ იყო. ამორძლები და ეს ერი წელიწადში
ერთი თვის ვადით შეიყრებოდენ და ერთათ ატა-
რებდენ ღროს; შემდეგ ისევ გაიყრებოდენ. თუ ამო-
რძალს ქალი ეყოლებოდა, თავისთენი დაიტოვებდა
და მარცხენა ძუძუთი ვაზ-
ლიდა; თუ ვაჟი, მაშინ მე-
ზობელ ტომის ხალხს გაუგზა-
ენიდა გასახლელოთ.

ამობენ, ეს ზღაპარი მო-
გვგონებსო ჩვენი მთის ხალ-
ხში ქალების თავისუფალს
ცხოვრებას, ქალეჯის თავისუ-
ფლათ შეყვარების ჩვეულე-
ბას და ქალების დიდ უფ-
ლებას ოჯახშიო.

სიტყვა ამორძალი, თუ
არ ვცდებით, პირველათ შე-
გვხედლიათ თეიმურაზის ისტო-
რიაში. არ ვიცი თუ კი იმას საი-
დან უთარგმნია ეს სიტყვა. ეი-
ნის, იქნება ეს სიტყვა დღე-
მდისაც დარჩენილი იყოს
რომელსამე კუთხეზე ჩვენს
მთებში. თუ რომ ეს სიტყვა
ძველი ქართული გამოდგა,
ხალხში ხმარებული, მას დი-
დი მნიშვნელობა ექნება ის-

ჯარი თავის მეფის პენტეზილეის წინამძღოლო-
ბით. შემდეგ ვითომც ამორძლებს დაეცლათ ეს ქვე-
ყანა და ჩრდილო-კავკასიის მთებში შესახლებუ-
ლიყვენ. ამათმა მეფობამ ალექსანდრე მაკედონელა-
მდისაც მოაწიაო—ამობს კურციუსი. მეფემ თალესტ-
რემ რომ შეიტყუეო ალექსანდრე—მაკედონელის გმი-
რობა, გაემგზავრა მისკენ სამასი მხედრით, გაე-
ცნო ალექსანდრესო, დაუახლოედა და იმისგან
ქალი შეიძინაო, რომელიც თალესტრემ თან
წამოიყვანა თავის მემკვიდრეთო. თურმე ამო-

ტორიისათვის. მაშინ უნდა ეთქვათ, რომ
ამორძლიდან უნდა იყოს ბერძნულ ენაზე გა-
დაცთებული სიტყვა ამაზონი. ამისთვის ძალი-
ან ზაქიროა, რომ სიტყვის ამორძლის შესახებ
რაიმე ცნობა მოგვეცნ ჩვენმა გონება-განვითარებუ-
ლმა ეტნოგრაფებმა, რომელთაც კი კარგათ აქეთ
მთის ცხოვრება შესწავლეული. აქ დახატული სურ-
ათი წარმოადგენს ზღაპრულს ცხენოსან ამორ-
ძლებს, რომელნიც ფართო და შუბით შეიარაღე-
ბულნი ცხენებს მიაჰყენებენ.

პ ა რ ტ ა ხ ი

(მოთხრობა ეგ ნინოშვილისა).

ჟემღავი *)

III

წალამოს ჯერანიც მოვიდა ყანიდან შინ. ნაენაშემეც ხვარაშემეც გაუშვირა შვილს, თუ რისთვის იყო ქალიჯან მოსული. ჯერან კარგა ხანს აყო ამას შემდეგ ჩაფიქრებული და ბოლოს თქვა:

— ზალიკაის ქალს მე არ დევიწუნებ, თუ ქალი კი ვარკა.

— ქალი ნახე და თუ დაგიჯდება, იგია. — უბასუხა ქალიჯანმა.

— არა, ნენან ნახოს. შენ და ნენაი მე არ მიღალატებთ. თუ თქვენ ორს კი დაგიჯდება, მეც ვარს არ ვიტყვი. — თქვა გადაწყვეტით ბოლოს ჯერანმა.

მეორე დღეს ქალიჯან და ხვარაშემეც წაიდგნენ ქალის სანახავათ. ქალიჯანმა მოიხმო თავისი მეზობელი ზალიკაის ქალიშვილი, ღიზა, და აჩვენა ხვარაშემეს. ღიზა იყო თვრამეტი, თუ ცხრამეტი წლის ქალი, საკმაოთ კარგათ მოყვანალი, სავსე ტანის, შავ-გულმანი, მაგრამ სწორი, სავსე და ეშხიანი პირისახის. რადგანაც ქალიჯანს არ გაუმხელია არც ღიზასთვის და არც მისი მშობლებისთვის, რომ ხვარაშემეც მის სანახავათ იყო მოსული, ღიზაც მოუჩინებელი-მოუტყმავი, ისე სადათ ჩაქმული მოვიდა ქალიჯანისას.

— ქალიჯან, საქმეზე მოხმარება გინდოდა და იმიზა დამიძახე, მეგონა, უთხრა ღიზამ ქალიჯანს.

ქალიჯანს ვხარებოდა ტყუილის თქმა, მაგრამ ახლა კი რაღა ექნა!

— ხო, საყრავი მაქ პაწაი და იმიზა დაგიძახე, უბასუხა მან ღიზას.

ღიზამ აიყვანა, დაისვა მუხლზე ქალიჯანის ხატეფერი კატა და დაუწყო თამაში. ხვარაშემეც კი ძალზე უჭკრეტდა, მაგრამ ღიზა არ ამჩნევდა ამას და ისევე ისე კატას ეთამაშებოდა.

— კატა არა, ახლა შენ ერთი კაი მოწითული ბიჭი გინდა, იმას უფრო დუფუყებ თამაშობას. — გეუბმარა ქალიჯან ღიზას.

— აბა! თქვა ღიზამ და სახის წამოწითლებასზე მტყობოდა, შერცხება კიდევ.

— აბა, და მე ვიცი გულს დაწვავს! იი ძუ-ბუები რომ გაქ დახვითქინებული, ერთი კაი ბიჭი

რომ დაგაწეეს ზედ არ გამომიცთია მოწითულობა თუ! სიზმარი მანწველებდა, სანამდი არ გამოთხოვეს, კიდევ მარილიანათ ვაგებურა ქალიჯანი.

— რაა, ქალიჯან, რაფერი ხარ, აა! — თქვა მორცხვით ღიზამ, გაავლო კატა ხელიდან და ადგა შინ წასასვლელათ.

— რა ქენი, მიხვალ? ჰყითხა ქალიჯანი.

— ახლა წაეღო და მერე მუეღო. ამ სიტყვებით ღიზა წაეღო შინ, ისე რომ აზრათაც არ მოსვლია ხვარაშემეც, რისთვის უმზერდა ისე მუყათითათ.

— კაი ციკაი ყოფილა, თქვა ხვარაშემეც, რომელსაც ძლიერ მოეწონა ღიზა.

— ხომ დაეჯდა? მერე რა გუნებისაა! — უთხრა ქალიჯანმა.

— აბა, ჩემო მუღო, ახლა შენზეა საქმე, უთხარი ზალიკას. — უთხრა ქალიჯანს ხვარაშემეც. ამას შემდეგ რძალმა და მუღმა მოილაპარაკეს. დაწყევს პლანები და ხვარაშემეც გამოსწია შინსკენ. მას უხაროდა, რომ კარგი სარძლო ქალი გამოიწაა.

— აბა, პა, ნენაე, კაი ამბავი თუ მოგეიტანე! ჰყითხა ქალიშვილმა ხვარაშემეს, როცა ეს უკანასკნელი შინ მოვიდა.

— ძალიჯანი ქალი ყოფილა, უბასუხა ხვარაშემეც თავის ქალს.

— მეც კაი ამბავი დაგაბედერე — მხიარულათ დაიწყო ელისაბედმა — ფეხათ მოვასწარი, აკია, მემაჯესთან ვიყავი და იქიდან მესთოთესთანაც ვამევიარე. ორივე მარჩიელმა *) ერთ ხმათ მითხრა — ბედი კარზე მოვდგომოა, ხელიდან არ გუღუშვათო. მემაჯემ იგივე მითხრა — იმ ქალის ფეხზე თქვენი ოჯახი წვიმავი რომ წყალი მატულობდეს, ესე იმატებსო.

— მაშინე გუღმა მითხრა, რაეც კი დეიწყო ქალიჯანმა, ჩემი ჯერანის ბედი სტორეთ ავი უნდა იყოს-მეთქი. სხომის რამდონი უთქვამთ, მარა არც ერთზე გული არ შემქნია. ამაზე ახსენა თუ არა, მაშინე გუღმა მიგრძინა, ბედი, ბედო, თქვა ხვარაშემეც.

— მეც, მეც, თქვა ელისაბედმა.

— ორმა მარჩიელმა ხომ ასე ვითხრა. ერთს ხელ მეგანქოესთანაც წაეღო, ენახე რას მეტყვის.

— მერე მეგანქოემ რომ ვითხრას — არ არის მისი ბედიო?

— მითხრას. ორი ხომ კაიო, ჩივა. ორის უფრო დასაჯერებელი არაა?

— რა სათქმელია! მე იმიზა გამოქცადე, აბა, ნენაი რას იტყვის-მეთქი. წადი არჩევე მეგანქოეს, თუ უთქვამს ამ ორსავით, იგია. თუ არა და იმი

*) იტილე კვალი № 42

*) მარჩიელი — მკითხვა.

მისთი, არ ყოფილა მისი რჩევა მისაღები. ფეხს აღარ დაეაბიჯებ მეგრე მასთან.

— არც ეღიბება მეგრე მისი რჩევა.

— ესევე შენიანის იმედი უნდა გქონდეს კაცს.

იმდონი ქალი დავგასახელეს და, აბა, იმისთანაი თუ უთქვამს ტიანეს, ქალიჯანმა რომ გამოავიროზა, თქვა ხერაზმემ კმაყოფილებით.

— რეიზა გვიყვარს! ჯერან შენი შეილია, ჩემი

ძმაი, მარა მისი ძმისწულია მაგორაში, უპასუხა ქალიშვილმა.

სალამოს, როცა დედამ უამბო ჯერანს „ძალე-ანი ცოცია და მარჩიელებსაც ესე უთქვამს შენი ბე-ლია“, ჯერანმა გულდარდობილი კილოთი თქვა:— რა ციცი, ერთი დედა ხარ, მეორე დაი და მესამე მა-მილია, თქვენ თუ არ გენდობი, აბა ვილას უნდა ეე-ნდო!

(შემდეგი იქნება)

ქ. ბრევიკი ბე-ჩუქი შ. ბ. ვ. ხევიკი-ბ
ხარხიზარატი უცხნი უბნი ვეყო
ყსაძე უთქმუარა ხეზინი ბნი ყნბა მრხა

ზეითუნის განდგომა და თავ-გწირული ბრძოლა ოსმალეთის მთავრობასთან (1862 — 1863)

ზილიციის მთებზე ცხოვრებს ნახევრათ დამო-ჩიჩილებული სომხის საზოგადოება, რომლის შუაგულს შეადგენს ორი ქვეყანა: ზეითუნი და ჰაქინი. ზეითუნის ქვეყანას ვარს მთები არტყია.

ზეითუნში ცხოვრებს 3000 კომლი სომეხი და აქეთ 12 ეკლესია. ზეითუნს აქვს გარშემო მდებარე 10 სოფელი ღ მათთან საერთო პირობა შეკრული თავის ქვეყნის დასაცველათ. მათგანი 6 სოფელი სომხისაა, 4 კი თათრისა. ამ 10 სოფელს განაგებს ოთხი სომ-ხის თავადის გვარი, რომლებსაც შემწეინ ჰყავთ, სა-ხელათ ქვეპანები (მამისახლისები). ზეითუნელები მაღალნი, მოსულნი, განიერი მხარბეცისა და გულადნი რიან და თავის სიმამაცის წყალობით აქამდე შეუ-ნახათ დამოუკიდებლობა. ოსმალეთის მთავრობამ ვერ შეძლო სრულიათ დემოჩიჩილებინა ისინი და მათში ხარჯი კანონიერათ მოეკრით. მხოლოთ ამ უკანასკნელ ორმოც დაათის წლის განმავლობაში კილიციის ეილაეთების უფროსები სხუ-და-სხუა ხერ-ხით შეებაერე ზეითუნელებს და გავრენ იმთ ში-ნაგან საქმებში. ისინი ცდილობდენ როგორმე და-ემოჩიჩილებით ეს მამაცი საზოგადოება. ყირიმის ომს შემდეგ, როდესაც რუსეთიდან მრავალნი მამა-დიღლნი გადასახლდენ ოსმალეთში, მარაშის ხურ-შიდ-ფაშამ მოინდომა გადმოსახლებულების ერთი ნა-წილი ძალით დაესახელებია ზეითუნელების ქვეყა-ნაში, მაგრამ სომეხები თოფ-იარაღით წინ დაუდგენ ხურშიდ-ფაშას და გადმოსახლებულები არ შეუშ-ვეს თავის ქვეყანაში (1859 წელს).

მაგრამ უფრო დიდი ბრძოლა ატყდა ზეითუნის მთებში 1862 წ. ზაფხულში, და ამ საქმემ შირაქუ-ლი ევროპაც გამოიწვია თანაგრძობისათვის. ზეი-თუნის მოკავშირე სომხის სოფელს ალაბაშს და ოსმა-

ლის სოფელს, ფეთმას, შორის აღიძრა ბრძოლა. ამ დროს მარაშის აზიზ-ფაშამ დრო იღლა ხელში და 3000 ჯარის კაცთ შეესია ზეითუნს; ალაბაში და-იქცა, ზარბ ასი სომხის მოსახლე გაწყდა, წმინდა მაცხოვრის მონასტერი გაიჭურდა და დაინგრა: ნან-გრევებს ქვეშ მოპყვეენ საბრალო ბერები (იგლისის 28-ს).

ამას შემდეგ ოსმალები წავიდენ და დეიენ ზეითუნს (ავგისტოს 2-ს). ზეითუნელები ჩვეულები-სამებარ მტრის წინ საეკლესიო დროშებით და ხატე-ბით გამოვიდენ და ბრძოლა დაიწყო. თუმცა სომ-ხები ცოტანი იყვენ, მაგრამ თავისუფლების გულის-თვის ისე მამაცურათ იბრძოდენ, რომ სასწაული მოახდინეს.— მტერი გაწყდა და უკან გაიქცა; ძერ-ფასი ნადავლი, თოფ-იარაღი ჩაუფარდათ ხელში ზეითუნელებს. ამ შესანიშნავ დღეს 6000 ოსმალი მოაკლეს, სამხებმა კი ძრიელ ცოტა ზარალი ნახეს მთავრობამ დაქსარათ კამისია შეადგინა მარაშში, ეითამ საქმის დასაჩევათ და დამნაშავეების დასაჯე-ლათ. რამდენიმე ზეითუნელი ეაქცაკი მიიტყუეს მა-რაშში და დაატუსაღეს; მეგრე როდესაც ზეითუნის ოთხი თავადიც მოითხოვეს, სომხებმა აშკაათ უა-რი უთარეს და ფრანკულზის იმპერატორ ნაპოლეო-ნისაშესთან მოკიქული გაგზავნეს და შემწეობა თო-ხოვეს. ერთი სხუა მოკიქულიც წავიდა კოსტანტი-ნუბოლს, რომ მთავრობისათვის სიძარბოთე მოხებე-ნებოა.

საქმე იქამდე გატარქელეს. ზეითუნელების შუამავლობით დატყვევებული ცილიუნელები არ გა-ათავისუფლეს და მათ ქვეყანაში კანონიერება ისეე არ ჩამოეარდა. სულთანის ბძანებისამებარ ზეითუნის გა-მეგობა, სამართალი და პოლიცია სრულიათ ზეითუნე-ლებს მიაწდეს. ათის თავი და სხუა სამთავრო ხარჯები იქაურ მმართველობის ხელით უნდა მოგროვილიყო და გაგზავნილიყო მარაშის ეილაეთის უფროსთან; მხოლოთ ამ კაცთან ჰქონდა ამიერითგან ზეითუნს გამეგობრით დამოკიდებულება.

ორიენტილისტთა მე-X საერთაშორისო კონგრესი ქ. ჟენევაში

შემდეგ *)

ნიტყა ედუარდ ნაილისა (თამაჯდომარისი). მღელვარებით აღსაყვარ ელგეარ, პატრონობა, თქვენს წინაშე. ვიგონებ იმ დროს, როცა რვა ჩვენთაგანი პირველათ შეიკრიბა და გადაწყვიტა ჟენევაში მოწვევა მთელი ქვეყნის ორიენტალისტებისა. მართალია, ჩვენ ვიყავით წარმომადგენელნი ორიენტალისმის ყველა შტოსი; მართალია აგრეთვე ისიც, რომ უცხოეთის ბევრმა მეცნიერებმა გაგვახმნევებს და გვთხოვებს გადაგვეღვა ეს დიდი ნაბიჯი, მაგრამ იმასაც ვფიქრობდით, რას იტყვიან, როცა გაიგებენ, რომ ჩვენც უნდა წავბაძოთ ევროპის დიდ ქალაქებს, ჩვენც უნდა ფეხი გამოვყოთ და ეცადოთ სიარული პარიჟ, ლონდონ, პეტერბურგ ბერლინ, გენა და სტოკჰოლმთან ერთად. შეეძლოთ ჩვენთვის სამართლიანათ ესაყვედურებით: რას შერებთ, ნუ დაიფიქვით ამას, რომ თქვენი ქვეყანა ძლიერ პატარა არისო. დიად, ჩვენ დაიფიქვით ჩვენი სიაპარავე, გაბედულობა ვინმარეთ. განა ყველა ბალხის ანდაზა არ გეასწავლის, გაბედულება არის გამარჯვების საიდუმლოება? მინც ჩვენ ამით აფასრულდეთ ის, რასაც ყოველ დღე ვშერებთ და რაც ჩვენი არსებობის ერთი მიზეზთაგანია. ჩვენ ეცხოვრებთ ოთხ უზარმაზარ სახელმწიფოებს შორის: მარტო მათი დედაქალაქის მცხოვრებთა რიცხვი მთელი ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლებს აღემატება; მოუხედავთ ამისა ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში ვიბრძვით თვითარსებობისათვის, ჩვენს უფლებას არავის ვაქვეყნივით, ჩვენც გესურს გვექონდეს საკუთარი მიწა-წყალი ამ ტურია ქვეყანაზე. ჩვენ პატარა არ ერთ დამოუკიდებლობისათვის, არც თანისუფლების და დამაინაორო ცხოვრება-მოქმედობისათვის, თუქცა ყოველ მხრიდან შემოწოლილი გეყავს მძლავრი მფლობელი და ჩვენი სამშობლოს სიერცეც შევიწროებულთა, სამაგიეროთ რალა გვიშლის გაფართოდდეთ და გაეწიოთ გონებრივ სიერცეცზე, აქ ხომ აღარ არის ბუნებრივი, თუ ხელმოწერილი საზღვრებო, არც იარაღი გზის გადასალომბავით და ასპარეზის შემოსაფარგლავით.

მეორე მხრით, ჩვენც გვაქვს ისეთი უპირატესი თვისებანი, რომელნიც ხელს-უწყობენ აქ კონგრესის გამართვას. ჩვენ გვიჭირავს ნეიტრალიტეტი. არ ვერვით პოლიტიკურ ჯიბრას და შურისძიებაში,

არ ვინცობთ კავშირს არც ორთ, არც სამთა, არც ოთხთა. ამ კითხვას არ შეეხები დაწვრილებით, მხოლოდ გესურს გინგნეთ, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტობასთან ერთათ რა ნიართ გვემის ნეიტრალიტეტი მეცნიერებაში. აქ არ არის განცხადება «გველა აქრძალულიაო», წინააღმდეგ ამისა ჩვენ გეუბნებით: მოდით დიდი სიმარადით, მოვეიტანეთ თქვენი მეცნიერება. რამდენიც კი შეგეძლოთ. აქ არ დაგინებდებთ დამოწნის კარები, შესვლა-გამოსვლა თვისუფალია, მამ მობადნით და იგემით უბრალო, სადა სტუმართ-მოყვარობა პატარა ხალხისა. თქვენი აქ ყოფნის დროს ნუ გახსენებთ, თუ რა დიდ როლს თამაშობს ქვეყანაზე თქვენი სამშობლო; ნუ იკითხავთ, არის თუ არა აქ ძლიერი არმია, სამარო ხრამალები. დაიფიქვით ის იღვები, რამელნიც ხატვენ ცხოვრების სივანაო მოწყობილებას და რაც ჩვენში არ არსებობს. გაცვალეთ ერთმანეთშორის და ჩვენც გავიცვალეთ გონების ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ხანგრძლივი შრომით და ატარებს ბეჭედს იმ ერის ნიჭიერებისა, რომელსაც თქვენი ეყუთვით. აი, აქ იმალება მეცნიერთა კონგრესის მნიშვნელობა. აზობენ, ასეთ კონგრესმა რამე დიდი ცვლილება უნდა შემოიტანოს მეცნიერებაში, შესამწიფევი აღმოგნა უნდა მოახდინოსო. სრულიათაც არა, კონგრესი მხოლოდ სწავლულთა ერთმანეთის ნახულობაა, ეს — მათი ბასია, რამელიმე მეცნიერულ კითხვის შესახებ. ხანგრძლივი კარჩაკეტილ შრომას შემდეგ ამ გვარ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ცხოველ-მოუფელი ზედგავლენა აქვს აღმანაზე. ვინ იცის ამით რამდენი ცრუ შეხედულება გაქარწყლებდა, რამდენი ახალი კითხვები დაიბადება და სწავლული ღვება ამა თუ იმ გზაზე

ახლა ენის შესახებ. როგორც მოგხსენებთ ჩვენი ხალხი სამ ენაზე ლაპარაკობს, ამას ერთიც მიუთმეტეთ და კონგრესის ოფიციალურ ენათ ოთხი ენა გავხადეთ. თქვენ აქ მოისმინეთ შევეცარიის პრეზიდენტი გერმანულ ენაზე, რომელიც ჩვენ თანამემამულეთ ორი ნაწილის დედა-ენას შეადგენს. ეს ენა დიდთ ვანიჩივლა ნამდელი გერმანულ ენად, როგორსაც საუბრობენ ჰანოვერში, საქსონიაში და სხვაგან. მაგრამ ნუ მოუყრუებთ ყურს შევიცარიელთ გერმანულს. ნუ გასჯით მსუბუქათ, იცადეთ, რომ ეს ჩვენ წინაპართაგან მივიღეთ და დიდი მოწიწებით ვინახავთ, ეს ენერგიული, მაკარი და მოუთვლავი ენა არის ლიბძლი შვილი ამ უზარმაზარი მთების და სასტიკი ბუნების. ის შედგება მკედრთა თვისებური ცხოვრებისა. ენევაში დრანგულთა ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ ფრანგულს დრანგულ ენის თვალთ უყურებენ. ჩვენ მეზობელ საფრანგეთის მწერლობაშიაც

*) ახლო „კავალი“ № 42.

კი შეხედებით საყვედურს: წმინდა ფრანგული გააქვნიველეთო. მხოლოდ ჩვენ, ქრეველები, არ დავივიწყებთ, რომ რუსსო და ქაბატონი სტალი, რომელთა ფრანგული ენის უეციკობას ვერყნი დაწამებს, საფრანგეთს ჩვენ მივეცი. იტალიურად ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის ერთი უმცირესი ნაწილი, მაგრამ ვინ არ მოისმენს დიდი სიამოვნებით ამ მუსიკალურ და ტკბილ ენას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბრობს თვითონ იტალიელი. დასასრულად იტალიურ ენათ მივიღეთ ინგლისური, რომელიც ასე გავრცელებულა აღმოსავლეთში და ამერიკაში. ქრევეში ადვილად სწავლობენ ამ ენას. ცნობილია, რომ ნაპოლეონს არ უყვარდა ქრეველი იმიტომ, რომ კარგათ ლაპარაკობს ინგლისურსო.

ამკვრათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და ენის სიმრავლე—აი, რამ გავგაბედვია ქრევეში კონგრესის მოწვევა. ამას მიუმატეთ, თუ გნებავთ, შევიცარის გეოგრაფიული მდებარეობაც.

დასავლეთის სრული განცალკევება აღმოსავლეთთან ახლა აღარ არსებობს; საყვედურითა აღსარებულა, რომ დასავლეთის ცივილიზაციის დასაწყისი აღმოსავლეთში უნდა მოინახოს, ახლათ აღმოჩენილი წყაროები ნათლათ გვიმტკიცებენ, თუ რა ხშირი მიმოსვლა და კავშირი ყოფილა ძველ ხალხთა შორის. მოგვსენებათ შესანიშნავი მაშინი ტელ-ელ-ამარის (Tel-el-amarna), აღმოჩენილი ამ უკანასკნელ ხანს, დაფები ლუტსმული წარწერით მე-XVIII დინასტიის უკანასკნელი მეფის დროს. ესენი შეიკადენ კოვსანდენციებს, მახსენებებს, კრძო დოკუმენტებს, რომელნიც არ იყვენ ოფიციალური. ეს წერილები გვიჩვენებენ, რომ სირიის და პალესტინის ქალაქებში, ებრაელთა მოსვლამდის, გავრცელებული ყოფილა ბაბილონის ენა და წერა. ფარაონთა ქვეშეოდ მი ქალაქების მმართველები ამ ენას ხმარობდენ. მაშასადამე, როცა ეგვიპტელებმა (XVIII დინასტიის ხანა) ეს ქალაქები დაიპყრეს, მმართველათ დაუყენებიათ არა ეგვიპტელი, არამედ მკვიდრი, მკოდენ ადგილობრივი ენისა და ზენ-ჩეულებისა. ეს მიხელენი ეგვიპტის მეფეს მიწერდენ ბაბილონურ ენაზე, რის გასაცებათ საჭირო იყო მთარგმნელი (ეს სიტყვა იხმარება მაშინდელ ნაწერებში). ესადი ბაბილონის ვაჟუნა, ამ უსოვეარ დროს სირიაზე და პალესტინაზე. მესობოტამიის მეფეები თხოვენ წერელში ეგვიპტელთ ოქროს გამოგზავნას, უთოთ დასამუშავებლათ, რადგანაც ფარაონები შეენიერ ქურტლებს, ტაძრის კედლებზე და სასაფლაოზე გამოხატულებს, აზიიდან იღებდენ. ამ ოქროს, რომელსაც მესობოტამიის მეფეები თხოულობდენ, სად შოულობდა ეგვიპტე? შუაგულ

აფრიკაში და წითელ-ზღვის ნაპირას. მაშასადამე აფრიკა აზნენიდა აზიაში დასამუშავებელ მასალას. ჩვენ ვიცით, რომ იმავე დინასტიის ერთმა დედოფალმა წითელ-ზღვის ნაპირას პუნტი (Punt) ქვეყანაში, ზღვით გაგზავნა ექსპედიცია მცხოვრებლებთან სავაჭრო კავშირის დასაჭერათ. ამასთანავე თხოვა წამოეღოთ გუნდრუკი, ოქრო, სპილოსძევილი და შავი ხე. აი, ეს ოქრო მიდის მესობოტამიაში, იქ აკეთებენ შეენიერ ქურტლებს და გზავნიან ისევე ეგვიპტეში. ამნარათ შეგიძლია აღვადგინოთ ძველი გზა აფრიკისა და აზია-საბერძნეთ შორის. უზარი უნდა ეყოს იმ აზრს, ვითომ ძველი ხალხი კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდა და არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა თანამედროვე ხალხებთან ესენი ვითარდებოდენ თავისთავათ ერთმანეთის დაუხმარებლათ. ამ შემცდარ შეხედულებამ თავისი დრო მოკვამა, თუმცა ძველ ხალხთა შორის ისეთი განწყობილება სუფევდა, როგორსაც გვიჩვენებენ სხვადასხვა მაშინი. ესადი ერთმანეთზედ ვაგლენა უნდა ქაოდათ; ხელოვნებაში, მაგალითათ ერთ ერს შეეძლო მეორისაგან ვადმოელო იდეა და შემდეგ განეეითარებია თანახმათ თავის განსაკუთრებით ნიჭის და თვისებისა.

მას შემდეგ, რაც რუგემ (1867 წ.) წარმოადგინა მოხსენება ეგვიპტის წარწერების შესახებ და ამ ბოლოს დროს ჭეიციანი ტრაიასი, მიცენის და ტარინტის ნანგრევები, შეგიძლია დარწმუნებით ვთქვათ საბერძნეთის ცივილიზაცია აღმოსავლეთიდან მომდინარეობს. ბოდიშს ვიხდი ოტიურიდ მიუღერის სკოლის ჰელინიტიკების წინაშე, რომელნიც იცადენ საბერძნეთის კულტურის თავისებურობას და სხვისაგან დამოუკიდებლათ განვითარებას. ეს აზრი საწინლათ დამარცხდა. ყოვლად შეუძლებელია დღეს საბერძნეთი დეაკილოთ აღმოსავლეთს, კითხვა მხოლოთ იმაშია, რა ეკუთვნის თვითონ საბერძნეთს და რა აღმოსავლეთს. ნუ ვიქნებით თვითონ ჰელინიებზე უფრო ეგვიანი, იმ ჰელინიებზე, რომელნიც მეტათ ამაყობდენ თავიანთი არტიტიული და ლიტერატურული განათლებით და ყველა სხვა ხალხს ბარბაროს უწოდებდენ. ამ ჰელინიებმა განაცხადეს, რომ სოლონ, პითაგორა და პლატონმა ვერც კი დაძლიეს უცხო ხალხთა სიბრძნეო, და როცა საის ღვლები სოლონს ეუბნებია: თქვენ ბერძნები ჯერ კიდევ ბავშვებიხართ, ის ამას შეუტაცყოფად არ ღებულობს. საბერძნეთის ცივილიზაცია, ეს თვითონ ჩვენ ვართ, ეს ჩვენი ცხოვრების სათავეა. თუ ბერძნები ეგვიპტის და ბაბილონის მოხარკენი იყვენ, გამოტყდეთ, რომ ჩვენი ნათესაობა აღმოსავლეთთან ძლიერი არის. აღმოსავლეთიდან

მივიღეთ რელიგიური რწმენანი, რასაც ბევრი ჩვენგანი იღობდა დასაწყისი ჩვენი არატისკული, ლიტერატურული, თუ მატერიალური ცხოვრებისა, რომელიც შეცვლილ-შეზავებული ჩვენ ბერძნებმა გადმოგვცა.

ეს მცირე მიმოხილვა, ბატონებო, დაგანახებდათ, რაწაირათ მესმის ორიენტალიზმის დღევანდელი მიმართულება. გამოძიება იმის, თუ რა აკეთებენ ხალხთა ერთმანეთთან და რა აქვთ საერთო თავიანთ ცივილიზაციაში, აი, რას მოასწავებს ეს მიმართულება. არ ეტოვებთ გამოუცვლელათ არც ერთს ხალხს, მივღებთ ჩინეთის კვლავმდის და ევკითხებით, ხომ არ გავქვთ რაიმე ნათესაობა ძველ ქალღმერთთან. ამ მიდრეკილებას ერთი ფრიად სასარგებლო შედეგი მოყვა: იმულებული შევიქნით ერთმანეთისათვის ხელი მიგვეცა და ერთად გვემუშავა. ინდოეთის მკვლევარი ვერ გაუღდება განწებებაჩინეთის მკვლევარს და ასირიალოგი ჩინეთ-იაპონიისას. საჭიროა, ერთმანეთს დაუხალვოდეთ, თორემ ისე ვერას გავწყობთ. აი, რისთვის მიყვარს ორიენტალისტების კონგრესი. ეს ცოცხალი საბუთია ჩვენი ერთობის, ურომლისათაც ყოვლად შეუძლებელია ჩვენ მიერ გაცხდულად გზაზე საირული და ქრისტიანული ძიება...

ამით გათავდა საბრწინებლო სიტყვები. შემდეგ კონგრესი დაიყო რამდენიმე სექციებში და თითოეულ სექციას ცალკე ოთახი ჰქონდა მიჩენილი სამუშაოთ, სადაც ვარემ პირთ, ჭურჭლისტებს გარდა, აუტრიალეს შესვლა. ჩვეულებრივ ორიენტალისტების კონგრესი ხუთი სექციიდან შედგებოდა, მაგრამ წელს ორი ახალი სექცია მიუმატეს: ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული, თავმჯდომარე ცნობილი მოგზაური პროფ. ბულდაკესტში ვაშბერი. მეორე საბერძნეთი და აღმოსავლეთი, თავმჯდომარე ნიუორკის პროფესორი ბერნა:ამი; ძველი სექციები: 1) ინდოეთი, თავმჯდომარე ლორდ რეი, დიდი-ბრიტანიის სამეფო აზიური საზოგადოების თავმჯდომარე; 2) ინდოეთის (ღადავისტოკა და არიელთა ენები), თავმ. ასკოლი, იტალიის სენატორი; 3) სემიტური ენები, თავმჯ. პროფესორი ჰალის უნივერსიტეტისა კაუტრი; 4) მუსულმანთა ენები, თავმ. შვედური, პარიკის ინსტიტუტის წევრი, 5) ეგვიპტე და აფრიკის ენები თავმ. მასპერო, წევრი ინსტიტუტისა; 6) შორეული აღმოსავლეთი, თავმ. ლეიფენის უნივერსიტეტის პროფესორი შლეველი. ასე დაანაწილეს აღმოსავლეთის შესწავლა და ქართული ენა კი არცერთ ნაწილში არ მოხდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ენა არც ერთ ამ კრებულს არ ეკუთვნის, მხოლოდ ის კი არ არის გამოკვლული, რომელი ჯგუფის ნა-

წილს შეადგენს. რადგანაც სექციების სხვადათითქმის ერთსა და იმავე დროს იწყებოდა, ცხადია ყველას ვერ დავესწრებოდით და რომ დავესწრებოდი ანგარიშის შედგენა მე არა, სპეციალისტსაც ვაუჭირებოდა. ამისათვის ჩვენ გამოვიჩინეთ საერთოგრაფიკა სექცია, სადაც იყვნენ მიწერილი მოსკოვის საარქეოლოგია საზოგადოების წარმომადგენელი ა. ხახანაშვილი. ბონენ-ჰერცოგოვიინის გუბერნატორი პოროვიჩი, აზიაში მოგზაური პანრი მოზერო, სულთანის წარმომადგენელი ქამილ ბეი, რუსეთის საერო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი გოშვი, თ. კოსტანტინე ვიხეშვიცი (ეს პირდაპირ ჩინეთიდან ჩამოვიდა), რუმინის მეფის წარმომადგენელი ჰოლბანი, ლეო ბენლეი (ფრანგია) სომეხი მეგავარიანი და მრავალი სხვა. სექციებში შრომა მიდიოდა ამ ნაირთ. სხვა-და-სხვა პირებს დამხადებული ჰქონდათ მოხსენებები ამა თუ იმ კითხვის შესახებ, რომელთა რიცხვი 112-ის ავიდა. მოხსენებებს რომ წაიკითხავდენ, შემდეგ გაიმართებოდა ბუბა და ირკვევდა მოხსენებებში აღძრული კითხვა. ჩვენ აქ წარმოვიდგინეთ ეტნოგრაფიულ სექციის მოკლე ანგარიშს.

პირველთა წაიკითხა ფრანგულ ენაზე ხახანაშვილი ამ სათაურით: უცხოელთა გავლენა საქართველოს ცივილიზაციაზე (les influences étrangères sur la civilisation géorgienne). აი, შინაარსი ამ მოხსენებისა: ამიერ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის მხრით შეიდი საუკუნის წინ ქრისტეს მოსვლამდე დასახლდა ქართველი ხალხი, რომელიც ქრისტეს შემდეგ დანაწილდა რამდენიმე სამეფო-სამთავროებათ: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია-სამეგრელო და სვანეთი. მუდმივი ბრძოლა და შუღლი ამ ნაწილთა შორის ხელს უწყობდა ვარემ მტერთა შემოსევას და მათ ძლიერებას. ამისათვის ეს პატარა ქვეყანა ჰხდებოდა სარბიელათ, სადაც შეუწყვეტლივ თარეშობდნ ასირიელები, სპარსეთი, ბიზანტია, სათათრეთი და კავკასიის ელლური თემები. მაშინ, როდესაც კავკასიის მიუდგომელ ხეობაში თავისუფლად ცხოვრებდნ ბევრი უცნობი ჯგუფი, სამხრეთით კი ძველი ივერია 14 საუკუნის განმავლობაში სისხლის ღვრით აცვდა ქრისტიანობას და კულტურას.

საქართველოს შენეირი და მდიდარი ბუნება თავიდანვე იტაცებდა ყურადღებას სპარსეთს, ეგვიპტეს, ფინიკიის, საბერძნეთს, იტალიის და სხვა ქვეყნებისას. აქ მოდიოდნ, აარსებდნ ახალშენებს, მართოდნ აღებ-მიცემობას, ავრცელებდნ თავიანთ ენას, წინჩეულებს და კულტურას. საქართველო, მდებარე შუესა და კასპიის ზღვებს შუა, შეიქნა აღმოსავლეთ-დასავლეთის შემავრთებელ ხიდათ, რიო-

ნის და ტკერის ნაპირებზე გაშენდნ ქალაქები და განაღდა ეკარობა. ერთი მხრით, ფოთი, დიოსკურია, ეა, სნები და სხ., მეორე მხრით, მცხეთა, უფლისციხე, კასპი, სურამი, ურბნისი და სხვა ვახდენ მისელა-მოსელის ცენტრებათ. არქეოლოგიური ნაშთნი სამთავროს სასაფლაოსი (მცხეთას) გვიჩვენებენ, რომ საქართველოს ინდოეთთანაც ჰქონებია მიმოსვლა. ჰეროდოტის თქმით კოლხიდაზე ძლიერი გველენა ჰქონდა ეგვიპტეს და თეთი კოლხიდელონი ეგვიპტელთა ჩამომავალია. ამის დასამტკიცებლათ მოჰყავს შემდეგი ფაქტები: ორივე ხალხი ერთნაირათ აშხადებენ ტილოს, ერთნაირათ ცხოვრებენ და წინადაცვეთის ერთ და იმავე წესს მიადევენ. ამ წესს ასრულებენ ამათ გარდა მხლოთ ეთიოპიელებითა. კოლხიდელონი ეგვიპტის, თუ საქართველოს ჩამომავალნი არიან — ეს ჯერ კიდევ სადგოა კითხვია. ხოლო ის კი აღარ არის საუკუო, რომ „მევი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას მცხოვრებ ხალხს ეკარობა ჰქონდა გამართული ეგვიპტესთან“. ბარონ უსლარის აზრით კოლხიდელონი აირიენ ქართველებში და ამ შერეევამ იქონია გველენა მეგრულ-ლაზურ ენების ლექსიკურ შემდეგნილებზე *). ქართველი მემპტიანენი ეგვიპტელის აწერენ საქართველოში მნათობთა თაყეანისცემის ვერცხვლებას. ამას გარდა ქართველები ეკარობდენ ასირიელ და ბაბილონიელებთან. ესენი მე VI საუკუნეში (ქრისტეს წინ) საქართველოში ყიდულადდენ მიანებს, სპირენძის ჭურჭელს და სხ., წონის სისტემაც ერთნაირი ჰქონდათ, ამავე დროს ფინიკიელნი შემოვიდენ და შემოიტანეს კულტი ასტარტი და ისტარტი. ამ ღმერთების შესახებ ნაშთნი აღმოაჩინა ყაზბეგზე საფრანგეთის სწავლეულმა მონტრომ. ტკერის და არაქსის ხეობებში ნაპოენი იარაღები ქალღო-ასურეთის ყალიბისაა. შეილდის ტარები ნაპოენი სამთავროს აკლდამებში უტყუარი საბუთია ასურეთთა ზედ-გველენისა **).

მეგრამ საქართველოზე არც ერთ ქვეყანას არ

ჰქონებია ისეთი გველენა, როგორც სპარსეთს და ბიზანტიას. საქართველოს ცხოვრება, ქრისტიანობის მიღებამდე, მკადრით იყო შეკავშირებული სპარსეთის კულტურასთან. სპარსეთის მეფეთა წინამძღოლობით ქართველები ებრძოდენ ბერძნებს, სკვითებს და სხ. მემპტიანეს თქმით სპარსეთიდან საქართველოში შემოადის ზორაოსტრის სარწმუნოება, ხეოროთ-მოძღვრება, მოთხრობები და ზემპირ-ვადმოცელები მათა გმირების შესახებ (რუსტემი და ზურაბი) და სხ. ზორაოსტრის სარწმუნოებით ისეთი ღრმა კვალი გაავლო ქართველთ ცხოვრებაში, რომ ახლაც ვაჟულობთ მის ნაშთს. მაგ. ქართველების წარმადგენა ეშმაკის, საიქიოს და ჯოჯობეთის შესახებ პირდაპირი ნაყოუა ზორაოსტრის სისტემისა. მე-XVI—XVII საუკ. საქართველოს სისუსტენთ სარგებლობდენ სპარსელები, მეფეებთ ნიშნავდენ თაენიან ცაცებს და გველენაც ძლიერდება. მოგზაური შარდენის აწერილობით საქართველოს და სპარსეთის სასახლეების მორთულობა და ჩვეულება არაფრათ განიჩნეოდა ერთმანეთისაკან.

მე-IV ს. საქართველო ქრისტიანდება და სპარსეთის გველენასაც თანდათან ძირი ეთხრება. მის ალაკს იტერს ბიზანტია. ბიზანტიიდან გადმოადის საღვთო წერილი, აპოკრიფები, წმინდათა ცხოვრება და სხვა საღვთგარტურო ნაწარმოებენი. მე-V საუკუნიდან ქართველები იძენენ განათლებას ბიზანტიაში, შემდეგ ბრუნდებიან და ხსნიან სკოლებს, სადაც ასწავლიან ღეთის მეტყველებას, მათემატიკას, გრამატიკას, ბერძნულ და სრუოლ ენებს და სხ. მე-XII საუკ. კახეთში გაიმართა არსენი იყალთოელის შემანიშაი სკოლა. აქ სწავლობდა პოეტი შოთა რუსთველი. ათარის მონასტერი შეიქნა შემავრთებელ ზდათ საქართველოს და ბიზანტიას შორის. შოთა რუსთველი ამ მონასტერში ამთავრებს სწავლას. ერთი სიტყვით საქართველოს სწავლა-განათლება და სასულიერო მწერლობა სრულიად დამოკიდებული შეიქნა ბიზანტიისაკან.

მე-VIII საუკუნიდან ბიზანტიის ზე-გველენას დადეროთ არაბთ გველენა, რომლის წყალობით საქართველოში ვრცელდება მათემატიკა, ასტრონომია, ხეოროთ-მოძღვრება და მხატვრობა. თბილისში არსდება იმ დროს ასტრონომიული ობსერვატორია.

ამ სამი ერის გველენას ქვეშ ეითარდება საქართველოს კულტურა, მდიდრდება მწერლობა, უმჯობესდება ენა. ასეთი პროგრესული მიმდინარეობა უმაღლეს წერტილს მიაღწევს მე-XII საუკ., როცა თამარ-მეფის წინამძღოლობით საქართველოს ხელთ-ქვეშ იკრიბება მთელი კავკასია. პოლიტიკურ სიძლიერეს თან მოყვა გონებრივი სიძლიერეც. პა-

*) წყნ მადან გეგეირეკეს, რომ ბ-ნ სსსანსჟი-ლი დამპრება უსდარის შქმცდარს აზრს და თუითონ, როგორც ქართველ მკვლევარს ამ საკანზე ანა წარმოუთქამარს, რადგან იმას ზედმოწენით უნდა ცოდნოდა, რომ შერდეს, დასურს და ქართველ მწიფრო ნათქვამას ანამც თუ ენის დამპრებს შედგენილობაში ეტკობას, ანამც გრამატიკულად ზგუბლებს ენისაც ერთი და იგივე და მსმასდამე იმათი ერთობობას და ერთი შთამომავლობა უტკუარ საბუთზეა დამპრებული.

**) Morgan. Mission scientifique au Caucase II. Chentre. Recherches antropol. dans le Caucase.

ეტები რუსთველი, შავთელი, ჩახრუხასე, თმოგველი და სხ. არიან ლეიძლი შვილინი ამ ხანისა. თამარს შემდეგ ქვეყანა ეცემა და სუსტდება. საქართველოს თავს დაატყდა არეულობა შიგნით და ომი გარეთ. მე-XIII ს. შემოესივნ მონგოლები, მე-XV-ს — ტაშერლანი, მე-XVIII ს. — აბას I. საქართველო ეარდება, ხან თათრების, ხან სპარსელების და ხან ქართველების ხელში. 1795 წ. ირაკლი II მეფეობის დროს აღა-მამაძე-ხანი შემოვიდა დიდი ჯარით და ქვეყანა სრულად ააოხრა. ამან დაასრულა საქართველოს თვითარსებობა, ის უერთდება რუსეთს ამ საუკუნის დასაწყისში.

ასე სამწუწნარით დაბოლოვდა საქართველოს ბედი. ქართველი ერთი ხელით იცავდა სამშობლოს, მეორეთი აშენებდა ტაძრებს არა მარტო საქართველოში, არამედ პალესტინაში, სირიაში, სინაიში და ათონში. მუსულმანთა წინააღმდეგ ის პოულობდა იარაღს და თავშესაფარს ეკლესიაში. აქედან ეხადია, რა დიდი გავლენა ექნებოდა ეკლესიას ხალხის გონებაზე. დაუსრულებელ ბრძოლამ სარწმუნოვნებისათვის საქართველო აიძულა მიემართა ერთ მორწმუნე რუსეთისათვის. ამ ორ სახემწიფოს შორის პოლიტიკური მიმოსვლა იწყება მე-XVI საუკ. ამის შედეგი იყო რელიგიურ-კულტურული გაერთვნა, რაცა გამოიხატა საეკლესიო მხატვრობაში

და ლეონის მსახურების წესებში; შემდეგ კი მწირობაში, რუსეთის შუამდგომლობით, შემადის ევროპის სკილინიაცია. მეორე მხრით, მას შემდეგ რაც ოსმალებმა ახალციხის მახრა დაიპყრეს, აქ კათოლიკე მისიონერები გადმოვიდნენ, აქედან კი შუაგულ საქართველოში, სადაც იმით დახედა სტუმართმოყვარება და თანაგრძნობა. ამით ისე გაიღვეს ძირი, რომ მე-XVIII ს. ქათალიკოზი ანტონი I აცხადებს მიდრეკილებას კათალიკობისკენ, რის გამო ის განძევებული იქმნა რუსეთს. აქ მან თავი გამოიჩინა სინოდის წინაშე და მიიღო ეპისკოპოსობა ელადიმირში, როცა საქართველოში დაბრუნდა, მოიტანა ნათარგმნი, თუ ორიგინალური სახელმძღვანელოები ლეთის-მეტყველების, ლოლიკის, ფილოსოფიის და სხვა საგნებისა. ამ სახელმძღვანელოებით ასწავლიდნ თბილისის და თელავის სასულიერო სემინარიებში.

ამგვართ, ქართველი ხალხი დღეს სამათ არის დანაწილებული: მართლ მადიდებელი, კათოლიკე და მამაღიანი.

ეს მოხსენება დიდა ყუჩაღებით მოისმინეს და გადაცეს კომისიის დასაბუქდათ.

ნ. პ.

(შემდეგი იქნება)

† აღ. ხელაძის მთავრობა

მკენისთვის 23-ს შემარტყუნებელი ამბავი მოხდა სოფ. ტელხუში. ერთ 18 წლის ახალგაზდას ორი ქალი — ევდუქსი ხურციძისა, ანა ტყეშელაშვილისა და ხურციძის ორი ვაჟი — კირილე და ტარასი — დახედნ თავის კარზე და კეტებთ მოხვედვას. როცა ქალები გამწარებული ცემდნ მას, თურმე საკოდავი ახალგაზდა, აღ. ხელაძე, ეხვეწებოდა მათ: „ბიძოლო! რას მერჩით, რათ მკლავთ, რა დამიშავებია თქვენთვისო?; მაგრამ მკვლელები არ მოშორებიათ, სანამდის თავი არ გაუტყნიათ და სიყვდილზე არ მიუვლიათ. უბედურმა ყმაწვილმა სახლამდის კი მიატანა და იქ დედაც. სამ დღეს შემდეგ სული განუტყვა. აღ. ხელაძე იყო ერთი ხელმოკლე გლეხის შვილი, წვადა-დაგვით გამოზდილი ქუთაისის სამაქალაქო შკოლაში. მამა ადრე მოუკვდა, მაგრამ ყმაწვილმა მაინც არ მიანება სწავლას თავი და თავის სოფლიდან დადიოდა შკოლაში, სანამ კურსი არ დაამთავრა. მამის სიყვდილს შემდეგ გაქრეცობული ქვრივის დედას თვითონ ეხმარებოდა ოჯახში და არჩენდა. იმ დღეს, როცა რკულზე ხელაღებულები დაუხედნ გზაში, ყმაწვილს თურმე ხარბი მიყავდა ყანაში სიმინდის ამოსატანათ. მეზობლებს, დიდი ხანია, უკმაყოფილება ჰქონდათ ერთმა-

ნეთში და იმ დილას ლაპარაკი მოსვლიდა ხელაძის დედას ხურციძის კოლოთან. ტყეშელაშვილისა და ხურციძისა კიდევ დამუქრებოდნ: ერთხელ ხომ მაინც გამოვიდის ჩვენ კარზე შენი ვაჟიო, თუ ქალები ვართ, მკვდარს მოგიტანთ და კარზე მოგიგდებთო. თქვეს და კიდევ აასრულეს. აი, ნაყოფი ჩვენი ცხოვრება-ვითარებისა.

ეს შემთხვევა ძალიან ახასიათებს ჩვენი ხალხის ზნეობრივსა და იურიდიულს უკან დახევის. კანონმდებლობა, რომელიც ერის ცხოვრების წიადაზე არ არის აღმოცენილი და მის შინაგანს ბუნებაზე არ არის ზედ-გამოჭრილი, თავის დღეში ვერ იმოქმედებს ერის ზნეობრივს სამართლიანობაზე. აქ სიმაართის გრძნობა სამუდამით დაკარგულია და ვის თანდათან მხეცდება. მაშ რაღა დაგერჩენია ამისთანა ერის ზნეობით ამაილოვლოთ? — უტყველია, სწავლა-განვითარება, მაგრამ თუ ამასაც მოკლებულია ერთი მაშინ?.. მაშინ რა უნდა აჩვენდეს, რა უნდა ელოდებოდეს წინ მის მხეცურს გულსოქმას? — უტყველია, ღრმა სარწმუნოებით მოპოვებული შინი. მაგრამ თუ ვსეც აღარ არის... მაშინ მაშინ მთელი ბრალი ერის გაიპოტყეებისა ედება საოღველოებს, რომელსაც გავლენა დაკარგვია ხალხში, იმისათვის რომ თვით მასში ჩამქარალა პატრიუტი სარწმუნოებისა.

აღ. ხელაძის სიყვდილს ისე შეუწუხებია ხალხი, რომ სოფლით ღექსიც გამოუთქვამთ:

„სწორათ ხმელი-მკვდის ნატრულია და სილაობით ვაზილია! ურჯულოების ხელითა უღროვით საფლავს ჩასულია.

თავი შეწირე ქვრივ დედას, გინდოდა მისი სიბერე

დაგეტბო, მაგრამ ყეტებით აღრე გავიჭრეს სამარე.

არ შეიწყნარეს, ძამიავ. შენი ვედრება შწარია; ჩას გერჩლენ ურჯულოები, ღლე დაგაყენეს შავია.

სახყმარია გასართობი.



განაკა. ბ-ნო გოჯასპირ, კილა ბევერი იქნე-

ბა ი. სიმონიდის წერილებზე?

გოჯასპირ, ჯერ მარტო ორი დაუმე-
ქლია და, როგორც ეტყობა, არამც თუ გათავებებს არ აპირებს, თურმე არც კი დაუწყია, რაც უნდა ეთქვა.

ოგ, აბა, დაღუპულვართ და აგია! მე ამ ორმა წეროლმაც თავ-ბრუდ ამა-
სხა და თუ კილა ბევერი აქეს სალაპარაკო, თქვენი მტერი ჩვენი საქმე იქნება. სხვა არა იყოს რა, მარტვა იყე-
რას! მკითხველები მე-
ცოდება: რეტისგან შეიშ-
ლებიან. ქე მაინც ეიცო-
დეთ, კილა რამდენ წერი-
ლს დაბეჭდაეს, რომ თა-
ვბრუს წამლის აუთიაკი გაეხსნა.

გოჯა. მე უფრო სხვისა მეშინია, ჩემო ივანო. ვაი თუ „ივერიას“ მკითხვე-
ლები დაუფთხოს.

ოგ, კი, ჰო!.. მავრც კია საფიქრებელი. აბა, რა გვეშველება? ამდენი უთა-
ბოლო ქაქანით არ შეი-
ძლება, რომ კოლინჯის ქარები არ გვეცეს თავში.

გოჯა. რა გქნათ?.. მოთმინების მეტი რა ვაგვე-
წყობა... შენ კიდეც არ იცნობ, ჩემო ივანო, იმ სიმონიდეს. ის მისთანა ჯიუტია, რომ ივერიის* თაბახები კი არა, კლდეც ვერ გაუმავრდება, თავით თუ დეტაკა. უნდა ვიტყვირათ მისი წერილები, მინამ არ მოიღლებ და თეთონეე თავს არ და-
ნებებს. მეტი რა ღონავ: „ქირსა შინა ვამავრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“.

ოგ. მავრც მართალია. ტყულო კი არ უთქვამთ: „უბედს რა მოილაღეს? და მუწჯიო!“ ძალიან ახი-
რებული კაცი კი ყოფილა, თუ თქვენც იტყვიო,



ბატონო გოჯასპირ, მაგი სიმონიძე ვინცხა. ჩვენს აკაცის სულ კუდით ქვა ასროლია... ჩას მიქვია პო-
ეტრო, პოეტებს კი არ შეუქნიათ ქართული ენა,
„ღელა-ენამ“, და „რა-ენამ“ შექნაო. თურმე ქა-
ხვიკათ არ ღირებულან არც რუსთველი, არც და-
ვით გურამიშვილი, არც ბარათაშვილი, არც ჭავჭა-
ვაძე და არც აკაკი!..

გოჯა. არა, ივანო, მაღ სულ სხვა გვლისწუ-
ხილია. არ იცი, განა, რუსთველი და ბარათაშვილი
რათ უარყო? იმიტომ რომ ამ ბოლოს დროს ვინ-

ღაცებს თავი წამოუყვიათ და მარტო იმით ქება გაისმის. აბა, როგორ შე-
არჩინდა ვისმე მაგისტანა თავ-მოყვარე კაცი თავის დაღვიწყებას? ეგეც ვაბრა-
ზა და დაიძახა; თქვენ ვინა ყრბართ, თქვე გაი-
ძვებო, მე ველორ მე-
დეთ, მე, რომელმაც ქართუ-
ლი ენა შეეთხე და მთე-
ლი ხალხიც ავალაპარაკოა... მას აქეთ მოაჭყა, ბატონო, დაიწყო და დაიწყო..

ოგან, არა, გოჯასპირ, ნათქვამია, ზოგი თხის-
კენ და ზოგი მგლისკენო, ჩას ვერჩით, ვაჟო?.. მარ-
თლაც მაგ სიმონიძეს დო-
ღი ღელაწილი მიუძღვის. რამ-
დენი „ლიარებისთანა“ სიტ-
ყები მაგას მოუფარია ამ

ბოლოს დროს, ვინ მოთვლი. ჩვენი ქართული ენა მაგის მეოხებით სულ აუწეროლმდა, თავის ქვერქში
აღარ ეტევა და თურმე ძალად „ფორმაციაში“ აპი-
რებს ვადაფრენას. მართალია, აგი „ფორმაცია“ მე კი არ
მესმის, მარა ეტყობა, კარგი რამე საქმელი კი უნდა იყოს.

გოჯა. კიდეც მე არის ჩვენი საველოლო, ჩემო ივანო, რომ უნდაფარდებში დაფორინეთ და ძირს აღარ გვიდვას ფეხი.

ჰეი, დრონი, დრონი! ნაკებნი მტებართ, წარვიძენ, განქრენ სიხმებრივ ჩქარად...
ღღეს გიორკიძე გყავს დასაცარად და სიმონიძე ჩვენ გასამწარად.

რედაქტორი, გამომცემელი ან. თ. ყურთლავისა.